საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/55 "5" ივნისი 2015 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის
დანამატის განსაზღვრის შესახებ

1. „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის თანამდებობრივ სარგოზე დანამატის განსაზღვრისა და საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 8 მაისის №1/87 გადაწყვეტილების მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეებს (გარდა იმ მოსამართლეებისა, რომლებსაც „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე გაგრძელებული აქვთ მოსამართლის უფლებამოსილება) 2015 წლის ივნისის თვეში, მოქმედ ყოველთვიურ დანამატთან ერთად, თანამდებობრივ სარგოზე დანამატი განესაზღვროთ თანამდებობრივი სარგოს 100%-ის ოდენობით.

2. საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებულმა სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა უზრუნველყოს ამ გადაწყვეტილებით დადგენილი დანამატის გაცემა.

ლევან მურუსიძე
საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი